



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 3 21 0000514979



02/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენ 2021 წლის 29 აპრილის N4100/3-26/21 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N432559; 29.04.2021) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ სკოლის მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული კონსულტირების მიმართულებით ხორციელდება მთელი რიგი აქტივობები. სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილია პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა (work skills development program), რომლის ძირითადი მიზანია: კარიერის მართვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის პროფესიის არჩევის პროცესში სკოლის მოსწავლეებისთვის დახმარების გაწევა, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა.

კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საკითხები ასევე ინტეგრირებულია რამდენიმე საგანში; ეს საკითხები უკავშირდება სხვადასხვა პროფესიის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერებას, პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, საკუთარი ინტერესების გაცნობიერებას და ა.შ. ეს საგნებია:

- „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები)
- „ჩვენის საქართველო“ (V-VI კლასები)
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია (VII-IX კლასები)
- „მოქალაქეობა“ (VII-IX კლასები)
- სადამრიგებლო საათი

აქვე გაცნობებთ, რომ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა“ ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მასშტაბურ ინიციატივას წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების მე-8-9 კლასების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ საორიენტაციო კურსები და მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში, ხოლო მე-10-12 კლასის

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სასერტიფიკატო კურსები, რაც მიზნად ისახავს არამართ პროფესიის გაცნობას (საორიენტაციო კურსებისგან განსხვავებით), არამედ პროფესიის ვიწრო მიმართულებისა თუ სპეციალიზაციის საფუძვლიან შესწავლას. აღნიშნული ინიციატივა ასევე გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების ჩართულობას, რომლებიც მოსწავლეებს საქართველოს შრომის ბაზრის შესახებაც აწვდიან ინფორმაციას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა „განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამუშაო ვერსია“. სტრატეგია უზრუნველყოფს ფორმალური განათლების სფეროში კარიერის მართვის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე, საკუთარი შესაძლებლობის სრულად რეალიზების თანაბარი შესაძლებლობის შექმნაზე. სტრატეგია მოიცავს განათლების ყველა საფეხურს და გვთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდების მოდელს/მიდგომებს საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი





4100/3-26/21 2 29042021



4100/3-26/21
29-04-2021

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს ბ-ნ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ ამავე მუხლით დადგენილ ვადაში მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: რას აკეთებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის, საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ტენდენციების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

ა. ელისაშვილი